პრეზიდენტ თომას ს. მონსონის მიერ

სატაძრო ლოცვა-კურთხევანი

ტაძრის დასწრებისას ჩვენ შეიძლება მივაღწიოთ სულიერებისა და სიმშვიდის შეგრძნების განზომილებას.

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, რა მადლიერ ვარ, დღეს რომ თქვენთან ვიმყოფები ამ მშვენიერ აღდგომის დილას, როცა ჩვენი აზრები მიმართულია სამყაროს მხსნელისკენ. ყველას სათითაოდ მოგესალმებით, გიგზავნით სიყვარულს და ვლოცულობ იმაზე, რომ მამაზეციერმა შთაგონებული გახადოს ჩემი სიტყვები.

ზუსტად შვიდი წლის წინ ჩატარებულ კონფერენციაზე მე მხარი დამიჭირეს, როგორც ეკლესიის პრეზიდენტს. ეს იყო დატვირთული წლები, აღვსილი არა მხოლოდ მცირეოდენი სირთულეებით, არამედ უამრავი დალოცვებითაც. ამ დალოცვებს შორის თითქმის ყველაზე სასიამოვნო და წმინდა იყო ტაძრების მიძღვნის და ხელახალი მიძღვნის ცერემონიები.

ცოტა ხნის წინ, ნოემბერში, მე მქონდა ბედნიერება, ჩამეტარებინა არიზონას, ფენიქსის ტაძრის მიძღვნის ცერემონია. მე შემომიერთდნენ პრეზიდენტი დიტერ ფ. უხთდორფი, უხუცესები დალინ ჰ. ოუქსი, რიჩარდ ჯ. მეინსი, ლინ ჯ. რობინსი და კენტ ფ. რიჩარდსი. მიძღვნის ცერემონიის წინა დღეს იქ ჩატარდა საოცარი კულტურული ზეიმი, სადაც ჩვენი ახალგაზრდებიდან 4000 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა მშვენიერ წარმოდგენაში. მეორე დღეს ჩატარდა ტაძრის სამი წმინდა, შთამაგონებელი მიძღვნითი ცერემონიის სესია.

ტაძრების მშენებლობა არის ეკლესიის ზრდის ძალიან ნათელი მაჩვენებელი. ჩვენ ამჟამად მთელს მსოფლიოში გვაქვს 144 ტაძარი, მათ შორის 5 მათგანს ანახლებენ და 13 მშენებარე მდგომარეობაშია. ამის გარდა, 13 ტაძარი, რომელიც ამის წინ გამოვაცხადეთ, მშენებლობის დაწყებისთვის მომზადების სხვადასხვა სტადიაზე იმყოფება. ამ წელს ჩვენ ვაპირებთ 2 ტაძრის ხელახალ მიძღვნას და 5 ახალი ტაძრის მიძღვნას, რომლების დასრულება უკვე დაგეგმილია.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, როცა მთელი ძალისხმევა გადავიტანეთ წინაზე გამოცხადებულ ტაძრების დასრულებაზე, ჩვენ არ გვქონდა ზუსტი გეგმები დამატებითი ტაძრების შესახებ. თუმცა დღეს დილით სიამოვნებით ვაცხადებ, რომ სამი ახალი ტაძარი აშენდება: აბიჯანში (სპილოს ძვლის სანაპირო); პორტ-ა-პრინცში (ჰაიტი); ბანკოკო (ტაილანდი). რა საოცარი დალოცვები ელით ჩვენს ერთგულ წევრებს ამ ადგილებში და ყველგან, სადაც ტაძრებია განთავსებული.

დამატებითი ტაძრების საჭიროებების განსაზღვრისა და მათი მდებარეობების დადგენის პროცესი გრძელდება, რადგან სურვილი გვაქვს, რაც შეიძლება მეტ წევრს, დროისა და საშუალებების დიდი მსხვერპლის გარეშე, მიეცეს ტაძარში შესვლის შანსი. ისევე, როგორც წარსულში, ჩვენ შეგატყობინებთ ამ საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

როცა ვფიქრობ ტაძრებზე, აზრები გამირბის იმ მრავალი დალოცვისკენ, რომელსაც იქ ვიღებთ. როცა ტაძრის კარში შევდივართ, უკან ვტოვებთ ცხოვრებისეულ არეულობას და ყველაფერს, რაც გვიფანტავს ყურადღებას. ამ წმინდა თავშესაფარში ჩვენ ვპოულობთ სილამაზეს და წესრიგს. იქ ჩვენი სული ისვენებს და დროებით ვთავისუფლდებით ცხოვრებისეული საზრუნავისგან.

ტაძრის დასწრებისას ჩვენ შეიძლება მივაღწიოთ სულიერებისა

და სიმშვიდის ისეთ განზომილებას, რომელიც გადაფარავს ყოველგვარ სხვა გრძნობას, რომელიც შეიძლება გაჩნდეს ადამიანის გულში. ჩვენ გავიგებთ მხსნელის მიერ ნათქვამი სიტყვების ჭეშმარიტ მნიშვნელობას, როცა მან თქვა: „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. . . . ნუ შეკრთება თქვენი გული, და ნურც შეშინდებით".[1]

ასეთ მშვიდობას შეუძლია აღავსოს ნებისმიერი გული – გული, რომელიც ღელავს, გული, რომელიც მწუხარებისგან არის დამძიმებული, გული, რომელიც შეცბუნებულია, გული, რომელიც დახმარებას ევედრება.

მე ცოტა ხნის წინ შევიტყვე ამბავი ახალგაზრდა მამაკაცზე, რომელიც წავიდა ტაძარში და გულში დახმარებას ევედრებოდა უფალს. მრავალი თვის წინ მან მიიღო მოწოდება ემსახურა მისიაში სამხრეთ ამერიკაში. თუმცა ვიზის მიღება იმდენად გახანგრძლივდა, რომ იგი შეერთებული შტატების მისიაში გადაამისამართეს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერ იმსახურებდა თავდაპირველად დანიშნულ ადგილზე, მაინც ბეჯითად შრომობდა ახალ ადგილზე და გადაწყვეტილი ჰქონდა, არ დაეზოგა ძალ-ღონე მსახურებისთვის. თუმცა სულით დაეცა, რადგან ჰქონდა შეხება მისიონერებთან, რომლებსაც, მისი აზრით, დროსტარება სახარების გაზიარებაზე მეტად აინტერესებდათ.

რამდენიმე თვის შემდეგ ამ ახალგაზრდას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნა, რის გამოც იგი ნაწილობრივ პარალიზებული გახდა, ასე რომ, იგი სახლში გაუშვეს სამკურნალოდ.

რამდენიმე თვის შემდეგ ეს ახალგაზრდა სრულიად გამოჯანმრთელდა, პარალიჩის კვალიც კი არ დარჩა. მას უთხრეს, რომ კიდევ ერთხელ შეძლებდა მისიაში წასვლას, და ამ დალოცვისთვის იგი ყოველდღიურად ლოცულობდა. ერთადერთი საწყენი რამ იყო ის, რომ იგი კვლავ იმავე მისიაში უნდა დაბრუნებულიყო, რომლიდანაც თავის დროზე წამოვიდა, სადაც იგრძნო, რომ ზოგი მისიონერის საქციელი და განწყობა იმაზე ნაკლები იყო, როგორიც უნდა ჰქონოდათ.

იგი მოვიდა ტაძარში სიმშვიდისა და იმის დასტურის მისაღებად, რომ მისიონერის როლში კარგ გამოცდილებას მიიღებდა. მისმა მშობლებმაც ილოცეს, რომ მათ შვილს ტაძარში მიეღო საჭირო დახმარება.

როცა ეს ახალგახრდა სესიის შემდეგ შევიდა ცელესტიალურ ოთახში, იგი სკამზე დაჯდა გა დაიწყო ლოცვა მამაზეციერისგან მითითების მისაღებად.

მალე ცელესტიალურ ოთახში მეორე ადამიანი შემოვიდა, სახელად ლანდონი. როგორც კი იგი ოთახში შემოვიდა, მან მზერა იმწუთასვე ახალგაზრდა ადამიანს მიაპყრო, რომელიც თვალდახუჭული სკამზე იჯდა და ალბათ ლოცულობდა. ლანდონმა მიიღო უტყუარი შინაგანი ბიძგი – გასაუბრებოდა ამ ახალგაზრდას. თუმცა არ უნდოდა მისთვის ხელის შეშლა და გადაწყიტა, დალოდებოდა მას. კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა და ახალგაზრდა კვლავ ლოცულობდა. ლანდონმა იცოდა, რომ შინაგანი კარნახის გადადება აღარ ღირდა. იგი მიუახლოვდა ახალგაზრდას და ფაქიზად შეეხო მას მხარზე. ახალგაზრდამ გაახილა თვალები, გაოცებულმა იმით, რომ ვიღაცამ ხელი შეუშალა. ლანდონმა ჩუმად უთხრა: „მე ვიგრძენი, რომ უნდა დაგელაპარაკო, თუმცა არ ვიცი, რატომ".

როცა მათ საუბარი დაიწყეს, ახალგაზრდამ ლანდონს გული გადაუშალა, აუხსნა თავისი ვითარება და დაამთავრა იმით, რომ სურდა მიეღო სიმშვიდე და გამხნევება მისიასთან დაკავშირებით. ლანდონმა, რომელიც ერთი წლის წინ წარმატებული მისიიდან შინ დაბრუნდა, გაუზიარა მას თავისი მისიის გამოცდეილება, ის სირთულეები და წუხილი, რომლების წინაშეც იგი აღმოჩნდა, როგორ მიმართა უფალს დახმარებისთვის და რა დალოცვები მიიღო. მისი სიტყვები დამამშვიდებელი და დამაწყნარებელი იყო, მისი ენთუზიაზმი კი გადამდები. ბოლოს და ბოლოს, როცა ახალგაზრდას შიში გაუნელდა, მას სიმშვიდის გრძნობა დაეუფლა. მან იგრძნო ღრმა მადლიერება, რადგან მიხვდა, რომ ლოცვაზე პასუხი მიიღო.

ორმა ახალგაზრდამ ერთად ილოცა და შემდეგ ლანდონი წასასვლელად გაემზადა, გახარებული, რომ დაუჯერა შთაგონებას. როცა ადგა, ახალგაზრდამ ჰკითხა ლანდონს: "სად იმსახურე მისიაში"? ამ მომენტამდე არც ერთს არ უხსენებია მისიაში მსახურების ადგილი. როცა ლანდონმა თავისი მისია დაასახელა, ახალგაზრდას თვალზე ცრემლი მოადგა. ლანდონი იმავე მისიაში მსახურობდა, სადაც ეს ახალგაზრდა ბრუნდებოდა!

ცოტა ხნის წინ ლანდონმა წერილში მომწერა ამ ახალგაზრდის გამოსამშვიდობებელი სიტყვები: „მე მწამდა, რომ მამაზეციერი დამლოცავდა, მაგრამ ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, რომ იგი ვინმეს გამომიგზავნიდა, ვინც ჩემს მისიაში მსახურობდა. მე ახლა ვიცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება".[2] გულწრფელი გულის ლოცვა შესმენილ იქნა და პასუხი გაეცა მას.

დებო და ძმებო, ცხოვრებაში ჩვენ გვექნება ცდუნებები; გვექნება სირთლეები და გამოცდები. როცა ტაძარში მივდივართ და გვახსოვს იქ დადებული აღთქმები, ჩვენ უკეთ შევძლებთ ამ ცდუნებების გადალახვას და სირთულეების დაძლევას. ტაძარში ჩვენ შევძლებთ ვიპოვოთ სიმშვიდე.

ტაძრის დალოცვები შეუფასებელია. ერთ-ერთი ასეთი,

რომლისთვისაც ჩემი ცხოვრების ყოველ დღეს მადლიერი ვარ, არის ის, რომელიც მე და ჩემმა საყვარელმა მეუღლემ, ფრენ-ცისმა, მივიღეთ მაშინ, როცა მუხლმოდრეკილებმა, წმინდა საკურთხეველთან, დავდეთ აღთქმა, რომელმაც სამარადისოდ შეგვკრა ერთად. არ არსებობს ჩემთვის ამაზე უფრო ძვირფასი დალოცვა, ვიდრე სიმშვიდე და ნუგეში, რომელიც მივიღე იმის ცოდნით, რომ მე და იგი ისევ ერთად ვიქნებით.

დაე, დაგვლოცოს მამაზეციერმა, რათა ვიქონიოთ სატაძრო მსახურების სული, ვიყოთ ერთგული მისი მცნებებისა და ფრთხილად ვიაროთ ჩვენი უფლისა და მხსნელის, იესო ქრისტეს კვალზე. მე ვმოწმობ, რომ იგი არის ჩვენი გამომსყიდველი. იგი არის ძე ღვთისა. იგი არის ის, ვინც აღდგომის დილას გამოვიდა საფლავიდან და მოუტანა ღმერთის ყოველ შვილს მარადიული ცხოვრების ძღვენი. ამ მშვენიერ დღეს, როცა ჩვენ ვზეიმობთ ამ მნიშვნელოვან მოვლენას, მოდით მივუძღვნათ მას ჩვენი მადლიერების ლოცვები მისი დიადი, საოცარი ძღვენისთვის. მე ვლოცულობ ამისთვის მისი წმინდა სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. იოანე 14:27.
2. თომას ს.მონსონის პირადი კორესპონდენციიდან.

სადღეისო სწავლება

2015 წ. მაისიდან 2015 წ. ოქტომბრამდე მელქიცედეკის სამღვდელოებისა და მოწყალების საზოგადოების გაკვეთილები თვის მეოთხე კვირას უნდა მომზადდეს აპრილის 2015 წ. გენერალური კონფერენციის მასალებიდან. ოქტომბერში გამოსვლების შერჩევა შეგიძლიათ 2015 წ. აპრილის ან 2015 წ. ოქტომბრის გენერალური კონფერენციის მასალებიდან. პალოსა და ოლქის პრეზიდენტებს შეუძლიათ აირჩიონ გამოსვლები, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ თავიანთ ოლქებში ან დაავალონ ეს ეპისკოპოსებსა და მრევლის პრეზიდენტებს.

გამოსვლები სხვადასხვა ენებზე იხილით conference.lds.org.

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *First Presidency Message, May 2015.* Georgian. 12585 131

პრეზიდენტ დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველი

მადლიერების ძღვენი

დღეს და მარადის ღვთის მადლი ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვისაც აქვს მოდრეკილი გული და მომნანიებელი სული.

ამ აღდგომის კვირადღეს ჩვენ ვზეიმობთ მსოფლიოში ყველაზე დიდებულ და ნანატრ მოვლენას.

ეს არის დღე, რომელმაც შეცვალა ყველაფერი.

ამ დღეს ჩემი ცხოვრება შეიცვალა.

თქვენი ცხოვრებაც შეიცვალა.

ყოველი ღვთის შვილის ბედი შეიცვალა.

ამ დალოცვილ დღეს, კაცობრიობის მხსნელმა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ცოდვისა და სიკვდილის ჯაჭვი, რის გამოც ჩვენ ტყვეობაში ვიმყოფებოდით, გაწყვიტა ეს ჯაჭვი და გაგვათავისუფლა.

ჩვენი საყვარელი გამომსყიდველის მსხვერპლის მადლით სიკვდილს აღარ აქვს ნესტარი, საფლავმა ვერ იზეიმა,[1] სატანას აღარ აქვს ხანგრძლივი ძალა და ჩვენ „ხელახლა ვიშვით *იესო ქრისტეს* გამოსყიდვით[2]

ჭეშმარიტად, პავლე მოციქულმა სწორად თქვა, რომ ჩვენ შეგვიძლია „ვანუგეშოთ ერთმანეთი ამ სიტყვებით“.[3]

ღვთის მადლი

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ მხსნელის გამოსყიდვაზე და ასეც უნდა იყოს!

იაკობის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ ქრისტეს გამოსყიდვაზე და მივაღწიოთ მის სრულყოფილ ცოდნას“?[4] მაგრამ როცა ჩვენ ვსაუბრობთ ქრისტეზე, . . . ვხარობთ ქრისტეში, . . . ვქადაგებთ ქრისტეზე და ვწინასწარმეტყველებთ ქრისტეზე,[5] როცა კი ამის საშუალება გვეძლევა, არ უნდა დავკარგოთ მოწიწებისა და ღრმა მადლიერების გრძნობა ღვთის ძის მარადიული მსხვერპლისადმი.

მხსნელის გამოსყიდვა არ უნდა გახდეს ჩვენს სწავლებაში, საუბარში ან გულში ჩვეულებრივი მომენტი. იგი არის წმინდა და საღმრთო, რადგან ზუსტად თავისი დიადი, უკანასკნელი მსხვერპლით იესო ქრისტემ მოუტანა ხსნა ყველას, ვისაც მისი სახელი სწამს.[6]

მაოცებს ის აზრი, რომ ღვთის ძემ თავი დაიმდაბლა, რათა გადავერჩინეთ ჩვენ, არასრულყოფილნი, უწმინდურნი, შეცდომებისკენ მიდრეკილნი და უმადურნი. მე ვეცადე გამეგო მხსნელის გამოსყიდვა ჩემი შეზღუდული აზროვნებით და ერთადერთი ახსნა, რომელიც მოვიდა, იყო ის, რომ ღმერთს ჩვენ ვუყვარვართ ღრმად, სრულყოფილად და სამარადისოდ. და მე არც კი შევეცდები შევაფასო, რა არის განი და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე . . . ქრისტეს სიყვარულისა“.[7]

ამ სიყვარულის ძლიერი გამოხატვა არის ის, რასაც წმინდა წერილი ხშირად ეძახის *ღვთის მადლს* – ღვთიურ დახმარებასა და ძალის ბოძებას, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვიზრდებით ნაკლისა და შეზღუდული მდგომარეობიდან ჭეშმარიტებისა და სინათლის, ჭეშმარიტებაში განდიდებულ, ყოვლის მცოდნე ამაღლებულ ქმნილებამდე“.[8]

ღვთის მადლი ყველაზე საოცარი რამ არის. და მაინც, იგი ხშირად არასწორად ესმით.[9] თუნდაც ეს ასე იყოს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ღვთის მადლის შესახებ, თუ ვაპირებთ დავიმკვიდროთ ის, რაც მოგვიმზადეს მის მარადიულ სასუფეველში.

ამ მიზნით მინდა ვისაუბრო მადლზე. განსაკუთრებით კი, პირველად იმაზე, თუ როგორ ხსნის მადლი *ცის კარიბჭეს* და მერე იმაზე, როგორ *ხსნის იგი ცის საქანელთ.*

პირველი: მადლი ხსნის ცის კარიბჭეს

რადგან ჩვენ ყველანი ვართ, ვინც „შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას“[10] და

რადგან ვერაფერი უწმინდური ვერ შევა ღვთის სასუფეველში,[11] არც ერთი ჩვენგანი არ არის ღირსი იმისა, რომ დაბრუნდეს ღვთის გარემოცვაში.

მთელი სულით და გულით რომ გვემსახურა ღმერთისადმი, ეს არ იქნებოდა საკმარისი; რადგან ჩვენ მაინც ვიქნებოდით უსარგებლო მსახურები.[12] ვერ გადავიხდით ზეცაში დასაბრუნებელი გზის საფასურს; სამართალის მოთხოვნილება დგას როგორც ბარიერი, რომლის გადალახვაც ჩვენ დამოუკიდებლად არ გვძალუძს.

მაგრამ ყველაფერი ასე ცუდად არ არის.

ღვთის მადლი ჩვენი დიდი და მარადიული იმედია.

იესო ქრისტეს მსხვერპლის მეშვეობით, წყალობის გეგმა ფარავს სამართალის მოთხოვნილებას[13] და მოუვლენს ადამიანებს საშუალებებს იმისთვის, რომ იწამონ მონანიება.[14]

ჩვენი ცოდვები, ალისფერიც რომ იყოს, შეიძლება თოვლივით თეთრი გახდეს.[15] რადგან ჩვენმა საყვარელმა მხსნელმა „თავი გასწირა ყველას გამოსახსნელად“,[16] მის მარადიულ სასუფეველში შემავალი კარი ღიაა ჩვენთვის.[17]

კარიბჭე ღიაა!

მაგრამ ღვთის მადლი ასე უბრალოდ არ აღგვადგენს უმანკოების პირველ მდგომარეობამდე. თუ ხსნა ნიშნავს მხოლოდ შეცდომებისა და ცოდვების წაშლას, მაშინ ხსნა – როგორიც მშვენიერი არ უნდა იყოს იგი, ვერ უპასუხებს მამაზეციერის მოლოდინს ჩვენთან მიმართებაში. მისი მიზანი ბევრად მაღალია: მას სურს, რომ შვილები მას დაემსგავსონ.

ღვთის მადლის ძღვენის თანხლებით მოწაფეობის გზას უკან კი არა, წინ მივყავართ.

მას ავყავართ იმ სიმაღლეებზე, რომლების გააზრებაც არ შეგვიძლია! მას მამაზეციერის ცელესტიალური სამყაროს ამაღლებისკენ მივყავართ, სადაც ჩვენი საყვარელი ადამიანების გარემოცვაში მივიღებთ მის სისრულესა და დიდებას.[18] ყველაფერი ჩვენია და ჩვენ ქრისტესნი ვართ.[19] და ყველაფერი, რაც მამას აქვს, მოგვეცემა.[20]

ამ დიდების დასამკვიდრებლად არა მხოლოდ უნდა გავხსნათ კარიბჭე; უნდა შევიდეთ ამ კარიბჭეში გულში შეცვლის სურვილით, იმდენად მკაფიო ცვლილების სურვილით, რომ წმინდა წერილი ამას აღწერს, როგორც ხელახლად შობილს; დიახ, ღვთისგან შობილი, შეცვლილი ამ დაცემის მდგომარეობიდან სამართლიანობის მდგომარეობამდე, გამოსყიდული ღმერთის მიერ და ქცეული მის შვილებად.[21]

პირველი: მადლი ხსნის ცის საქანელთ

ღვთის მადლის შემადგენელი ნაწილი არის ცის საქანელთა გახსნა, საიდანაც ღმერთი გადმოცლის ჩვენზე ძალისა და სიძლიერის კურთხევებს, რაც მოგვცემს იმის უნარს, რომ მივაღწიოთ მას, რაც სხვა დროს ჩვენთვის მიუწვდომელი იყო. ღვთის საოცარი მადლის წყალობით მის შვილებს შეუძლიათ თავი აარიდონ თვალთმაქცის ფარულ ხაფანგებს, ამაღლდნენ ცოდვაზე და გახდნენ სრულყოფილნი ქრისტეში.[22]

მიუხედავად იმისა, რომ ყველას გვაქვს სისუსტეები, ჩვენ შეგვიძლია მათი დაძლევა. ჭეშმარიტად, ღვთის მადლის წყალობით, თუ დავიმდაბლებთ თავს და ვიქონიებთ რწმენას, სისუსტეები ძალად გადაიქცევა.[23]

ცხოვრების მანძილზე ღვთის მადლი გვჩუქნის მიწიერ კურთხევებს და სხვადასხვა სულიერ ძღვენს, რაც განადიდებს და ამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას. მისი მადლი გვწმენდს. მისი მადლი გვეხმარება, გავხდეთ საუკეთესო ადამიანები.

ვის მიეცემა უფლება?

ბიბლიაში ვკითხულობთ, როგორ ეწვია ქრისტე სტუმრად სიმონ ფარისეველს.

გარედან სიმონი თითქოს კარგი და მართალი ადამიანი ჩანდა. იგი რეგულარულად ასრულებდა ყველა თავის რელიგიურ მოვალეობას: იცავდა კანონს, იხდიდა მეათედს, იცავდა შაბათს, ყოველდღიურად ლოცულობდა და დადიოდა სინაგოგაში.

მაგრამ სანამ იესო სიმონთან იყო, ქალი მოვიდა, ცრემლებით დაბანა მხსნელს ფეხები და ძვირფასი მალამო წაუსვა ფეხებზე.

სიმონს მსახურების ეს გამოხატვა არ მოეწონა, რადგან იცოდა, რომ ეს ქალი ცოდვილი იყო. სიმონს ეგონა, რომ თუ ქრისტემ ეს არ იცოდა, იგი წინასწარმეტყველი არ იყო, თორემ არ მისცემდა ამ ქალს შეხების უფლებას.

იესომ მისი აზრები წაიკითხა, მიუბრუნდა სიმონს და ჰკითხა: „ერთ მევახშეს ორი მოვალე ჰყავდა“, – თქვა მან. „ერთს ხუთასი დინარი ემართა, მეორეს – ორმოცდაათი.

მაგრამ რაკი არაფერი ჰქონდათ, რომ გადაეხადათ, ორივეს მიუტევა. ახლა მითხარი, რომელს უფრო მეტად შეუყვარდება იგი?

სიმონმა უპასუხა, რომ მას, რომელსაც მეტი მიუტევა.

შემდეგ იესომ ასწავლა ბრძნული გაკვეთილი: „ხომ ხედავ ამ დედაკაცს? . . . მაგას მიეტევა მრავალი თავისი ცოდვა,“ *რადგან ძლიერ შემიყვარა,* ხოლო ვისაც ცოტა მიეტევა, ცოტაც უყვარს[24]

ამ ორიდან, რომელ ადამიანს ვგავართ?

სიმონს? დარწმუნებულნი ვართ და კომფორტულად ვგრძნობთ თავს კარგი საქმის კეთებაში და ვენდობით ჩვენს სამართლიანობას? იქნებ ცოტა მოუთმენლად ვექცევით მათ, ვინც ჩვენი სტანდარტებით არ ცხოვრობს? იქნებ მექანიკურად ვმოქმედებთ, დავდივართ შეხვედრებზე, სახარების დოქტრინის გაკვეთილებზე ვამთქნარებთ და ზიარების დროს მობილურ ტელეფონს ვამოწმებთ?

თუ იმ ქალს ვგავართ,

რომელიც ფიქრობდა, რომ სრულად და უიმედოდ ჩაიფლო ცოდვებში?

ძლიერ *გვიყვარს* ?

გვესმის ჩვენი ვალი მამაზეციერის წინაშე და ვევედრებით მთელი სულით ღვთის მადლის მიღებას?

როცა ლოცვისთვის ვიჩოქებთ, საკუთარი სამართლიანობის მაგალითებით ვტკბებით. ამ დროს თუ დანაშაულს ვაღიარებთ, ვევედრებით ღვთის წყალობას და მადლიერების ცრემლებს ვღვრით გამოსყიდვის საოცარი გეგმის გამო?[25]

ხსნას ვერ იყიდი მორჩ ი ლების ფასად; მას მხოლოდ ღვთის ძის სისხლით თუ შეიძენთ.[26] ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ შეგვიძლია გავცვალოთ კარგი საქმენი ხსნაში იგივეა, რაც იყიდო თვითმფრინავის ბილეთი და ფიქრობდე, რომ ავიახაზის მფლობელი ხარ. ან კიდევ იმის გაფიქრება, რომ მას შემდეგ, რაც სახლის გირაოს გადავიხდით, მთელი პლანეტის მფლობელის ტიტული მოგვენიჭება.

მაშინ რად გვინდა მორჩილება?

თუ მადლიერება არის ღვთის ძღვენი, რატომ არის ღვთის მცნებების დამორჩილება ასე მნიშვნელოვანი? რატომ შევიწუხოთ თავი ღვთის მცნებებით ან მონანიებით ამ შემთხვევაში? რატომ უბრალოდ არ ვაღიაროთ, რომ ცოდვილნი ვართ და ნება დავრთოთ ღმერთს, გადაგვარჩინოს?

ან პავლე მოციქულის თქმით: „დავრჩეთ ცოდვაში, რათა მადლმა იმრავლოს“? პავლეს პასუხი მარტივი და გასაგები იყო: „არამც და არამც“![27]

დებო და ძმებო, ჩვენ ვიცავთ ღვთის მცნებებს იმიტომ, რომ იგი გვიყვარს!

როცა ვცდილობთ მთელი გულითა და სულით გავიაზროთ ღვთის მადლის ძღვენი, ჩვენ გვიჩნდება უფრო მეტი მიზეზი იმისთვის, რომ გვიყვარდეს მამაზეციერი და დავემორჩილოთ მას თავმდაბლობითა და მადლიერებით. როცა მოწაფეობის გზით დავდივართ, ვიწმინდებით, უკეთესნი ვხდებით, უფალს ვემსგავსებით და ამ გზას უკან, მის გარემოცვაში მივყავართ. უფლის სული ახდენს ისეთ ძლიერ ცვლილებებს ჩვენში, რომ არ გვრჩება არანაირი ბოროტის კეთების სურვილი და განუწყვეტლივ მხოლოდ სიკეთის კეთება გვსურს.”[28]

ასე რომ, ღვთის მცნებების მიმართ ჩვენი მორჩილება ბუნებრივად ჩნდება, როგორც ღმერთის მიმართ უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების შედეგი. ეს გულწრფელი სიყვარული და მადლიერება საოცრად ერწყმის ჩვენს სამუშაოს ღვთის მადლში. დაე კეთილშობილება ამკობდეს თქვენს აზრებს მარად; მაშინ თამამად წარსდგებით ალალმართალნი ღმერთის წინაშე.[29]

ძვირფასო დებო და ძმებო, სახარების მიხედვით ერთგული ცხოვრება ტვირთი არ არის. ეს არის მხიარული პრაქტიკა – მარადისობის დიადი სიხარულის მემკვიდრეობით მიღებისთვის მზადება. ჩვენ ვეძიებთ მამაზეციერის მორჩილებას, რადგან ჩვენი სულები უფრო განეწყობა სულიერებაზე. გაგვეხსნება იმის წვდომა, რისი არსებობაც არც კი ვიცოდით. როცა მამის ნებას ვასრულებთ, წვდომა და გონების განათება გვეძლევა.[30]

მადლი არის ღვთის ძღვენი და ჩვენი სურვილი დავემორჩილოთ ღვთის ყოველ მცნებას ნიშნავს იმას, რომ მამაზეციერისგან ამ წმინდა ძღვენის მისაღებად ხელი გვაქვს გაწვდილი.

ყველაფერი, რისი გაკეთბაც შეგვიძლია

წინასწარმეტყველმა ნეფიმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენს მიერ ღვთის მადლის წვდომაში, როცა განაცხადა, რომ ბეჯითად შრომობენ, რათა დაარწმუნონ შვილები და საძმო, იწამონ ქრისტე და შეურიგდნენ ღმერთს; რადგან იციან, რომ *მას შემდეგ, რაც ყველაფერს მოიმოქმედებენ, მხოლოდ მადლით გადარჩებიან.*[31]

მიუხედავად ამისა, მაინტერესებს, ზოგჯერ უკუღმა ხომ არ გვესმის ფრაზა „მას შემდეგ, რაც ყველაფერს მოვიმოქმედებთ“. უნდა გვესმოდეს, რომ „შემდეგ“ არ ნიშნავს „იმის გამო“.

ჩვენ გადავრჩებით არა „იმის გამო“, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. რომელიმემ გააკეთა *ყველაფერი,* რისი გაკეთებაც შეიძლება? ღმერთი ელოდება, რომ გამოვიყენოთ ყოველი მცდელობა, სანამ იგი ჩაერევა ჩვენს ცხოვრებაში თავისი გადარჩენის მადლით?

მრავალი ადამიანი გულგატეხილობას გრძნობს, რადგან წამდაუწუმ სრულად ვერ ასრულებს ჩანაფიქრს. ასეთმა ადამიანებმა პირადი გამოცდილებიდან იციან, რომ „სული მხნეა, ხორცი კი უძლური“.[32]ისინი ხმას აღიმაღლებენ ნეფისთან ერთად მის განცხადებაში, რომ სული მისი გლოვობს მისივე ცოდვების გამო.[33]

დარწმუნებული ვარ, ნეფიმ იცოდა, რომ მხსნელის მადლი *ნებას გვრთავს* და *გვაძლევს* ცოდვის გადალახვის საშუალებას.[34] აი რატომ შრომობდა ნეფი ასე ბეჯითად, რომ დაერწმუნებინა შვილები და საძმო, იწამონ ქრისტე და შეურიგდნენ ღმერთს.[35]

ბოლოს და ბოლოს, *ეს არის ის,* რისი გაკეთებაც შეგვიძლია! და *ეს არის* ჩვენი დავალება ამ მიწიერ ცხოვრებაში!

ჩვენი დავალება ამ მიწიერ ცხოვრებაში!

როცა ვფიქრობ იმაზე, რა გააკეთა ჩვენთვის მხსნელმა, იმ პირველი აღდგომის კვირის ცოტა ხნის წინ, მინდა ავიმაღლო ხმა და ვადიდო მაღალი ღმერთი და მისი ძე, იესო ქრისტე!

ზეცის კარიბჭე ღიაა!

ცის საქანელნი გახსნილია!

დღეს და მარადის ღვთის მადლი ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვისაც აქვს მოდრეკილი გული და მომნანიებელი სული.[36] იესო ქრისტემ გაგვიწმინდა გზა იმ სიმაღლეებზე ასასვლელად, რასაც მიწიერი გონება ვერ ჩასწვდება.[37]

მე ვლოცულობ იმისთვის, რომ ახალი თვალებითა და გულით შევხედოთ მხსნელის გამოსყიდვის მსხვერპლის მნიშვნელობას. მე ვლოცულობ იმაზე, რომ გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული ღმერთის მიმართ და მადლიერება ღვთის უსაზღვრო მადლის ძღვენისთვის იმით, რომ დავიცვათ მისი მცნებები და სიხარულით „ვიაროთ სიცოცხლის განახლებით“.[38]ჩვენი მოძღვრისა და გამომსყიდველის, იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. იხ. 1 კორინთელთა 15:55; მოსია 16:8.
2. 1 პეტრე 1:3.
3. 1 თესალონიელთა 4:18; იხ. ასევე მუხლები 13–17.
4. იაკობი 4:12.
5. 2 ნეფი 25:26.
6. ალმა 34:10, 15.
7. ეფესელთა 3:18-19.
8. მოძღვრება და აღთქმები 93:28.
9. ჭეშმარიტად, ჩვენ ვართ პატარა ბავშვები და . . .ჯერ სრულად ვერ გავიგეთ, რაოდენ დიდი დალოცვებია მის ხელთ,რომლებიც მან ჩვენთვის მოამზადა (მოძღვრება და აღთქმები 78:18).
10. რომაელთა 3:23.
11. 1 ნეფი 15:34; იხ. ასევე 1 ნეფი 10:21; მოსე 6:57.
12. მოსია 2:21.
13. იხ. ალმა 42:15.
14. ალმა 34:15.
15. იხილეთ ესაია 1:18.
16. 1 ტიმოთე 2:6.
17. იხ. 2 პეტრე 1:11.
18. მოძღვრება და აღთქმები 76:56.
19. იხ. მოძღვრება და აღთქმები 76:59.
20. იხ. მოძღვრება და აღთქმები 84:38.
21. მოსია 27:25.
22. მორონი 10:32.
23. იხ. ეფერი 12:27.
24. იხილეთ ლუკა 7:36-50.
25. ეს კარგად არის ახსნილი ქრისტეს იგავში ფარისეველსა და მებაჟის შესახებ (იხ. ლუკა 18:9-14).
26. იხილეთ საქმეები 20:28.
27. რომაელთა 6:1-2.
28. იხ.მოსია 5:2.
29. იხ. მოძღვრება და აღთქმები 121:45.
30. იხილეთ იოანე 7:17.
31. 2ნეფი 25:23.
32. მათე 26:41; იხ.ასევე რომაელთა 7:19.
33. 2 ნეფი 4:17.
34. იხ. 2 ნეფი 4:19–35; ალმა 34:31.
35. იხ.2 ნეფი 25:23.
36. იხ. 3 ნეფი 9:19-20.
37. იხ. 1 კორინთელთა 2:9.
38. რომაელთა.

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *Visiting Teaching Message, May 2015.* Georgian. 12585 131